

განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე „იარაღის შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წინამდებარე ცვლილების პროექტის მომზადების მიზეზია წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტით მოცემული „გარემოს დაცვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი.

„გარემოს დაცვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით გათვალისწინებული გარემოს დაცვის სამსახური მიეკუთვნება სამართალდამცავ ორგანოთა რიცხვს, გარემოს დაცვის სფეროში დანაშაულთან ბრძოლის უფექტურობის, ხელშეწყობისა და აღკვეთის მიზნით, სხვა სამართალდამცავი ორგანოების მსგავსად შესაძლებელია საჭირო გახდეს სამხედრო-საბრძოლო იარაღის გამოყენება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტი მიზნად ისახავს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემასი შემავალი შესაბამისი სამსახურისათვის სამხედრო-საბრძოლო იარაღის გამოყენების უფლების მინიჭებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად, გარემოს დაცვის სამსახურის თანამშრომლებს მიეცემათ სამხედრო-საბრძოლო იარაღის გამოყენების უფლება მხოლოდ სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, საბრძოლო და ოპერატიულ-სამსახურებრივი მიზნების განხორციელებისათვის.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება ფინანსურ გავლენას არ იქონიებს იმ პირებზე ვისზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი).

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისმა სამთავრობო დაწესებულებებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ამ ეტაპზე კანონპროექტის შეფასება ორგანიზაციების (დაწესებულებების) და ექსპერტების მხრიდან არ მომხდარა.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.